ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №144

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ,,09“ ივლისი 2018 წ.

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის“ მე-3 მუხლის მე-1 პუნქტის ,,ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ,მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით,რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

2. **ხელშეკრულების დამდები მხარეები**

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი მისი დირექტორი ირაკლი ათუნაშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ მ/მ ქრისტინე თათოშვილი პ/ნ 03001000415 (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის:

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანი ,,ვთამაშობთ მეგობრულ ოჯახს“ სპექტაკლისთვის საჭირო რეკვიზიტების შეძენა

3.2 დაფინანსების წყარო - ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

3.3 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.

3.4 შესყიდვის კატეგორია (CPV) კოდი (CPV 39200000), (CPV 44100000),

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. მისაწოდებელი **საქონლის** საერთო ღირებულება შეადგენს **4-50 ლარი** საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადების ჩათვლით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის ღირებულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსტხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გატვალისწინებულ ვადაში.

5.4.მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად მიაწოდოს შესყიდული საქონელი. საქონლის მიწოდების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღე.

6.ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
6.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას სემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სემსყიდველის მიერ გამოყოფილი უფლებამოსილი პირი.
6.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობიტ აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების შესახებ.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია წერილობით შეტყობინებიდან 2 (ორი) დრეში გამოასწოროს გამოვლენილი დეფექტი ან ნაკლი.

**7. მიღება-ჩაბარების წესი**

7.1. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველსა და მიმწოდებლს შორის უფლება მოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით

**8. ანგარიშსწორება**

8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
8.2 ანარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმებიდან 20 დღის განმავლობაში:
8.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო . გადარიცხვა მოხდება მიმწონებლის საბანკო ანგარიშზე.

**9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

9.1 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დაბატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ხელშეკრულების პირობების ,მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**10. ფორს-მაჟორი**

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას
10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

**11.. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის**

11.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.4.. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02% ოდენობით.

11..2. იმ შემთხვევაშუ თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2(ორი) პროცენტს,შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.3.შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 8.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსლია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველს ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02% ოდენობით.

11.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 თითოეულ მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება,თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას,ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემტხვევაში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დარჩენილ სხვა შემტხვევაში.

12.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## 13. დავების გაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

13.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 14. სხვა პირობები

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და

მოქმედებს: **09.07.2018წ - 31.08.2018წ**
(რიცხვი, თვე, წელი)

14..2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| ს.ს.ი.პ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი | ი/მ ქრისტინე თათოშვილი |
| ქ. ახალციხე თამარ მეფის ქ. №6 | ქ. ახალციხე |
| სახელმწიფო ხაზინა | თიბისი ბანკი |
| ს/კ 224072928 | ბანკის კოდი TBCBGE22 |
| ანგ/ნომ 708277015 | პ/ნ 030010000415 |
| | ანგარიში № **GE55TB7333245065100003** |
| დირექტორი: [illegible] ათუნაშვილი | ქ. თათოშვილი |

მიღება - ჩაბარება N146

ქ. ახალციხე

11 ივლისი 2018 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელს მომწერნი, ერთის მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ს.ს.ი.პ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი „შემსყიდველად" წოდებული, მისი დირექტორის ირაკლი ათუნაშვილის სახით, რომელიც მოქმედებს სამსახურის დებულების საფუძველზე და მეორეს მხრივ ი/მ ქრისტინე თათოშვილი პ/ნ 030010000415 სახით „მიმწოდებელი" შორის 09.07.2018 წელს დადებული ხელშეკრულება №144 „მიმწოდებელმა" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შეასრულა რომლის ღირებულებაა 4,50 ლარი.

| № | CPV კოდები | საქონლის დასახელება | ზ/ერთ | რაოდ. | ე/ფასი | თანხა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 39298300, | საყვავილე მინის | ცალი | 1 | 1,5 | 1,5 |
| 2 | 39221100, | მაშა სამზარეულოსი | ცალი | 1 | 1,5 | 1,5 |
| 3 | 44174000, | ფოლგა | ცალი | 1 | 1,5 | 1,5 |
| | | ჯამი | | | | 4,5 |

წინამდებარე აქტი ადასტურებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას და მზა საქონლის მიწოდებას და წარმოადგენს დადგენილი ანაზღაურების გადახდის საფუძველს.

ხარისხის კონტროლის (ინსპექტირების) დროს ხარვეზები არ გამოვლენილა

აქტი შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან.

შემსყიდველი

ს.ს.ი.პ მესხეთის (ახალციხის)
პროფესიული სახელმწიფო
დრამატული თეატრი
ქ. ახალციხე თამარ მეფის ქ. №6
სახელმწიფო ხაზინა

ს/კ 224072928
ანგ/ნომ 708277015

დირექტორი: ი. ათუნაშვილი

მიმწოდებელი

ი/მ ქრისტინე თათოშვილი

ქ. ახალციხე
თიბისი ბანკი

ბანკის კოდი TBCBGE22
პ/ნ 030010000415
ანგარიში № GE55TB7333245065100003

ქ. თათოშვილი

09.07
144

| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0389300317 |
|---|---|---|

2 11/07/2018
თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3 11:39:30
დრო (საათი, წუთი)

4 ქრისტინე თათოშვილი — 03001000415
გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება/ან სახელი და გვარი — საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5 სსიპ - მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი — 224072928
მყიდველის (მიმღების) დასახელება/ან სახელი და გვარი — საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6 ოპერაციის შინაარსი: ტრანსპორტირების გარეშე

7 null
ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8 X
ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9
ტრანსპორტირების სახე

10 X
სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმელი

11 სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი - X

12 გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი

თანხა (ლარებში)

# სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საყვავილე მინის | 96 | ცალი | 1.0000 | 1.5000 | 1.5000 |
| 2 | მაშა სამზარეულოსი | 9685 | ცალი | 1.0000 | 1.5000 | 1.5000 |
| 3 | ფოლგა | 25635 | ცალი | 1.0000 | 1.5000 | 1.5000 |

13 4.5 - ოთხი ლარი და ორმოცდაათი თეთრი
მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14
გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15
მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16
ხელმოწერა

17
ხელმოწერა

18 მიწოდებული საქონლის ჩაბარების — 11/07/2018 — 11:39:30
თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) — დრო (საათი, წუთი)

19

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 11/07/2018, 11:48:46